



## „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ სამოქალაქო საბჭოს მიერ გამოვლენილი პრობლემები იქნა

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო  
TRANSPARENCY INTERNATIONAL GEORGIA

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ სამოქალაქო საბჭოების წევრებმა იმერეთის 4 მუნიციპალიტეტში (ქუთაისი, ხონი, ტყიბული, წყალტუბო) 40-ზე მეტი ინფრასტრუქტურული პრობლემა/საჭიროება გამოავლინეს. ვიმედოვნებთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობები მოქალაქეთა იდენტიფიცირებულ საჭიროებებს 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში მაქსიმალურად გაითვალისწინებენ.

ჩვენი ორგანიზაციის სამოქალაქო საბჭოების წევრების მიერ გამოკითხული მოქალაქეები ისეთ საჭიროებებსა და პრობლემებს ასახელებენ, როგორცაა: ნაგავსაყრელების მოწესრიგება ქალაქებში და ნაგავმქვრები კონტეინერების დადგმა სოფლებში, გარეგანათების, შიდა გზების, სანიაღვრე არხების მოწყობა, გაზიფიცირების სამუშაოების დაწყება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის მოწესრიგება და ახალი ტრანსპორტის დამატება მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული გრაფიკით, რეკრეაციული ტერიტორიების მოწესრიგება და ა.შ.

სამოქალაქო საბჭოები „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ ინიციატივით შექმნილი მოქალაქეთა არაფორმალური გაერთიანებებია, რომელთა მიზანია უშუალოდ ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობითა და ჩვენი ორგანიზაციის შუამდგომლობით მოგვარდეს მუნიციპალიტეტებში არსებული პრობლემები.

2019 წელს, ჩვენი საბჭოების ინიციატივით, იმერეთში მოქმედ მუნიციპალიტეტებს 40-ზე მეტი პრობლემის მოგვარების მოთხოვნით მივმართეთ. ადგილობრივ თვითმმართველობებთან აქტიური მუშაობის შედეგად, 15 მათგანი მოგვარდა ან მოგვარების ეტაპზეა.

სხვა რეგიონების მსგავსად, წელს, სამოქალაქო საბჭოების ორგანიზებით, ადგილობრივ მოსახლეობას სხვადასხვა სოფელში იმერეთშივე შევხვდით და მათ მიერ გამოვლენილი პრობლემების მოგვარების მოთხოვნით, მუნიციპალიტეტებს მივმართეთ. საზოგადოებას კი ვიდეოკლიპების საშუალებით გასულ წელს მოგვარებული პრობლემების მცირე ნაწილი და საბჭოების ის წევრები გავაცანით, რომლებიც ქუთაისში, ტყიბულსა და წყალტუბოში ცხოვრობენ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ იმერეთში სამოქალაქო საბჭოების მიმდინარე წლის საქმიანობის ანგარიშს საზოგადოებას უახლოეს მომავალში წარუდგენს. ამ დროისთვის აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ქუთაისში, წყალტუბოში, ხონისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების პროექტებზე, სადაც მნიშვნელოვანია, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინებული იქნას ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების ეფექტიანი და დროული გადაწყვეტა.

ჩვენი სამოქალაქო საბჭოების მიერ გამოვლენილი საჭიროებების დოკუმენტი, შესაძლოა, მნიშვნელოვანი წყარო იყოს ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისთვის ინფრასტრუქტურული თუ სხვა სახის პრობლემის იდენტიფიცირებისთვის. ამ მიზნით წარმოგიდგინებთ მოქალაქეების მიერ დასახელებული პრობლემების ჩამონათვალს იმერეთში:

📍 ქალაქი/კუთაისი	📍 მოსახლეობის მოთხოვნა
	ნიკეას ქუჩაზე N44ა, N63, N66 კორპუსების სარდაფებში წყლის დაგროვების პრობლემის გადაჭრა; ამავე კორპუსების დამაკავშირებელი და ცენტრალურ გზაზე გასასვლელი ბილიკების მოწესრიგება
	ნიკეას N1/9 კორპუსის ეზოში დაგროვილი სამშენებლო ნარჩენების გატანა
	ნიკეას N22 და N24 კორპუსებთან ნაგავმქვრები კონტეინერების დამატება
	ნიკეას ქუჩის N21ა კორპუსის გადახურვა და სანიაღვრე არხების მოწყობა
	ჭომისპესისმიმდებარედანაგვიანებული ტერიტორიის დასუფთავება
	ქალაქის ცენტრში, წითელ და რუსთაველის ხიდებს შორის მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელის რიონისპირა ამოსასვლელის რეაბილიტაცია, მიმდებარედ კი სკვერის მოწყობა
	მუნიციპალური ავტობუსების პარკის განახლება
	ნიკეას და ასათიანის კვეთაზე მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაცია
	თამარ მეფის ქუჩაზე, მე-9 საჯარო სკოლის მოპირდაპირედ მდებარე სკვერის რეაბილიტაცია/ დასუფთავება
	კონსტანტინე გამსახურდიას ქუჩაზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერის მონტაჟი
	ავტომშენებლის ქუჩაზე კორპუსების დაზიანებული ფასადების რეაბილიტაცია
	ქუთაისში მდებარე მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაცია
	ქუთაისში მდებარე სკვერებში („ბალის კიდე“, პირველ სკოლასთან არსებული სკვერი, „მწვანე ბაღი“ ავტოქარხნის დასახლებაში, მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი) უფასო WIFI-ს დამონტაჟება
	ყოფილი პიონერთა პარკის წინ არსებულ გზაჯვარედინზე შუქნიშნის და მოძრაობის მარეგულრებელი ნიშნების განთავსება
📍 წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	📍 მოსახლეობის მოთხოვნა
	შანიძის ქუჩაზე გზის საფარის და ტროტუარის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია
	შანიძის ქუჩაზე განთავსებული ამორტიზებული ნაგავმქვრები კონტეინერებისა და ურნების შეცვლა
	საკრებულოს ყოფილი შენობის (თეთრი სახლი) მიმდებარე ტერიტორიაზე გარეგანათების სისტემის მონტაჟი
	ცენტრალურ პარკში წყლის ონკანის მოწესრიგება და ნაგვის ურნების გამოცვლა
	სოფელ ხომულში მუნიციპალური ტრანსპორტის დანიშვნა
	სანატორიუმ „სავანეს“ მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება სარეველებისა და ნაგვისგან
	სათაფლის ნაკრძალისაკენ მიმავალი გზის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია
	გიორგი ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაცია
	ქალაქის ტერიტორიაზე გამწვანების სამუშაოების ჩატარება, მწვანე ზონების მოწესრიგება
	პარკის ტერიტორიაზე ველობილიკის მოწყობა
	საზოგადოებრივი საპირფარეშოების რეაბილიტაცია
	პარკის ტერიტორიაზე სასმელი წყლის წერტილების აღდგენა/ რეაბილიტაცია
	იუსტიციის მშენებარე სახლის მიმდებარედ არსებულ დევნილთა დასახლებაში გზის საფარის რეაბილიტაცია
	ე.წ. „გუმათის ხიდის“ რეაბილიტაცია
	სოფლებში რიონსა და ზარათში გარეგანათების სისტემის რეაბილიტაცია
	სოფელ რიონში (სკოლასთან და ეკლესიასთან) სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების დამონტაჟება
📍 ტყიბულის მუნიციპალიტეტი	📍 მოსახლეობის მოთხოვნა
	სოფელი მანდიკორში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და შიდა გზების აღდგენა
	სოფელ ნაბოსლევში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია და შიდა გზების აღდგენა
	სოფელ ორპირში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია
	ქალაქ ტყიბულში, ტყვარჩელის ქუჩაზე N24 და N26 კორპუსების სარდაფებში წყლის დაგროვების პრობლემის გადაჭრა
	შიდა გზების კეთილმოწყობა
📍 ხონი	📍 მოსახლეობის მოთხოვნა
	სოფელ ახალბედისულის გზის მოსაფალტება
	მოსე ხონელისა და შამათავას ქუჩის კვეთაზე შუქნიშნისა და საგზაო მოძრაობის ნიშნების მოწყობა
	სოფელ ჩაის მეურნეობის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია
	ქალაქის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი საპირფარეშოს აშენება
	თავისუფლების მოედანზე მდებარე სკვერთან სამანქანო გადასასვლელებზე რკინის მყარი კონსტრუქციით არხის გამაგრება
	მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე სარწყავი არხების რეაბილიტაცია
	სათიხეთის უბანში მთიდან ჩამოდენილი წყლის ნაკადის სამართავად სანიაღვრე არხების მოწყობა